

სსიპ ილია წინამღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი



დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 1
სექტემბრის ბრძანებით N04-66 დანართი N2

ცვლილება:

2017 წლის 8 სექტემბრის ბრძანება N04-80
დანართი N1

2017 წლის 13 სექტემბრის ბრძანება N04-81
დანართი N2

2017 წლის 9 ნოემბრის ბრძანება N04-100
დანართი N3

2017 წლის 24 ნოემბრის ბრძანება N04-111

პროფესიული პროგრამა: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი

მისამართი: მცხეთის რ-ნი, სოფ. წინამღვრიანთკარი

მცხეთა
2017

- I. **სახელწოდება:** საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი
- II. **სარეგისტრაციო ნომერი:** 10102-3
- III. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- IV. **საკანონმდებლო ბაზა:**
 - საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
 - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო;
 - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის პროფესიული სტანდარტი;
- V. **დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება
- VI. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ტურისტულ სააგენტოში, ტურიზმის დეპარტამენტში, ტუროპერატორ კომპანიაში, მუზეუმში, ნაკრძალების/დაცული ტერიტორიების, არქეოლოგიურ ან არქიტექტურულ ძეგლებთან არსებულ საექსკურსიო ბიუროებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, თვითდასაქმებით, მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად.

- VII. **მიზანი:** პროგრამის მიზანია მოამზადოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კვალიფიციური გიდი, მისცეს საჭირო თეორიული ცოდნა და გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რათა შეძლოს კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმება.

- VIII. **სწავლის შედეგები:** პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
 - უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ ტურისტებისათვის შემუშავებული ტურისტული მარშრუტისა და შესაბამისი პროგრამის განხორციელება;
 - საექსკურსიო მომსახურება მთელი საქართველოს ან/და კონკრეტული რეგიონის მასშტაბით;
 - ტურისტული ჯგუფის მართვა;
 - ტურის საორგანიზაციო სამუშაოების განხორციელება;
 - პრობლემური სიტუაციების მართვა;
 - ექსკურსიის მომზადება და ჩატარება.

- IX. **ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:** ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს ზოგად და პროფესიულ მოდულებს და არჩევით მოდულს -უცხო ენა.

- X. **სტრუქტურა და მოდულები:**

სავალდებულო ზოგადი მოდულები	სავალდებულო პროფესიული მოდულები	არჩევითი მოდული/მოდულები

დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
ინფორმაციული წიგნიერება 2	3	გაცნობითი პრაქტიკა-საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	2	უცხო ენა A2/B1	4
მეწარმეობა 3	3	საწარმოო პრაქტიკა-საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	12		
უცხოური ენა	5	პრაქტიკული პროექტი-საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	6		
		საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	5		
		საქართველოს ისტორია და ეთნოგრაფია	5		
		ტურიზმის ინდუსტრია	6		
		ტურისტული მომსახურების სამართლებრივი უზრუნველყოფა	4		
		ქართული კულტურა და ხელოვნება	5		
		უსაფრთხოება და პირველადი გადაუდებელი დახმარება	3		
		ექსკურსიის მომზადება	5		
		პრობლემური სიტუაციების მართვა	3		
		ტურის სარგანიზაციო სამუშაოების განხორციელება	5		
		ტურისტული ჯგუფის მართვა	4		

		ექსკურსიის ჩატარება	5		
		მუზეუმის ტურის წარმართვა	3		
		ღვინის ტურის წარმართვა	3		
		რელიგიური ტურის წარმართვა	3		
		დარგობრივი უცხოური ენა ინგლისური საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდისთვის	5		
სულ:	11	სულ:	84	სულ:	4

XI. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% - ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

XIII. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XII პუნქტით გათვალისწინებული წესით.

XIV. არაქართულენოვანი სტუდენტების სწავლება

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით

XV. პარტნიორი ორგანიზაციები:

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი

XVI. პროგრამის განხორციელების ადგილი:

პროგრამა ხორციელდება მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარში. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის სასწავლო აუდიტორიაში , ოთახი N310.

XVII. პროგრამის ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის -85 სასწავლო კვირა
არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 104 სასწავლო კვირა

პროგრამის დანართები:

- დანართი 1 -სასწავლო გეგმა
- დანართი 2- პროგრამის განმახორციელებლები
- დანართი 3- მოდული ინფორმაციული წიგნიერება 2
- დანართი 4 - მოდული მეწარმეობა 3
- დანართი 5- მოდული უცხოური ენა
- დანართი 6 - მოდული გაცნობითი პრაქტიკა-საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი
- დანართი 7 - მოდული საწარმოო პრაქტიკა-საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი
- დანართი 8 - მოდული პრაქტიკული პროექტი-საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი
- დანართი 9 - მოდული საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები
- დანართი 10 - მოდული საქართველოს ისტორია და ეთნოგრაფია
- დანართი 11 - მოდული ტურიზმის ინდუსტრია
- დანართი 12 - მოდული ტურისტული მომსახურების სამართლებრივი უზრუნველყოფა
- დანართი 13 - მოდული ქართული კულტურა და ხელოვნება
- დანართი 14 - მოდული უსაფრთხოება და პირველადი გადაუდებელი დახმარება
- დანართი 15 - მოდული ექსკურსიის მომზადება
- დანართი 16 - მოდული პრობლემური სიტუაციების მართვა
- დანართი 17 - მოდული ტურის სარგანიზაციო სამუშაოების განხორციელება

- დანართი 18 - მოდული ტურისტული ჯგუფის მართვა
- დანართი 19 - მოდული ექსკურსიის ჩატარება
- დანართი 20 - მოდული მუზეუმის ტურის წარმართვა
- დანართი 21 - მოდული ღვინის ტურის წარმართვა
- დანართი 22 - მოდული რელიგიური ტურის წარმართვა
- დანართი 23 - მოდული დარგობრივი უცხოური ენა ინგლისური საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდისთვის
- დანართი 24 - მოდული უცხო ენა A2/B1
- დანართი 25 - მოდული ქართული ენა A2
- დანართი 26 - მოდული ქართული ენა B1